

განმარტებითი ბარათი

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის ჰარმონიზაცია „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (თანამდებობის პირების) ნორმატიული აქტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურის სრულყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) მიღებულ ნორმატიულ აქტს იუსტიციის სამინისტროში აგზავნის არა 3, არამედ 4 ეგზემპლიარად. ერთი ეგზემპლიარის დამატება, განპირობებულია სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებიდან გამომდინარე, ვინაიდან ერთი ეგზემპლიარი იუსტიციის სამინისტროს მიერ იგზავნება ზედამხედველობის ორგანოში. ამასთან, კანონპროექტის მიხედვით თვითმმართველობის ორგანო (თანამდებობის პირი) იუსტიციის სამინისტროში (სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოში) ასევე აგზავნის ნორმატიული აქტის ელექტრონულ ვერსიას, რაც ტექნიკურად გაადვილებს რეგისტრაციისა და ზედამხედველობის პროცედურებს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან. მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან; კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი ვანო ხუხუნაიშვილი